

სალოგანბრდა ვეროელი

შაბათი
23
ივნისი
№ 70 (11556)
1990

ქართული
1921 წლის

საბჭოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

შანი 8 კაპ.

რეალური სუვერენიტეტის გზით

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე მეთხუთმეტე სესია

20 ივნისს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს რიგგარეშე, მეთხუთმეტე სესია. სესიაზე მოწვეული იყვნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი საბჭოთა, პარტიული, პროფკავშირული მუშაკები, შრომითი კოლექტივების, მეცნიერი და შემოქმედი ინტელიგენციის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისა და მოძრაობების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, დეპუტატმა გ. გ. გუშაბაძემ.

დეპუტატებმა დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი.

დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებაში დამატებების შეტანა (საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 თებერვლის, 1921 წლის 24 მარტისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ინსტიტუტების გაუქმების სხვა აქტების სამართლებრივი შეფასება) და ამ დადგენილების შემდგომი რეალიზაციის ღონისძიებები; მიმართვა რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოსადმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგების შეფასების თაობაზე.

2. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა.

3. საქართველოს მოქალაქეობის კანონის პროექტი.

4. საქართველოს უზენაესი საბჭოს საყოველთაო დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნების კანონის პროექტი.

5. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების, მასობრივი მოძრაობების, პროფესიული და შემოქმედებითი კავშირების, ნებაყოფლობითი საზოგადოებებისა და ასოციაციების კანონის პროექტი.

6. საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების კანონის პროექტი.

7. ალტერნატიული სამსახურის სამართლებრივი რეგლამენტაცია და მასთან დაკავშირებული საკითხები.

8. სსრ კავშირის მთელი რიგი კანონების შეფასება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის საფუძველზე.

დღის წესრიგის გამო სესიაზე მოხსენება გააკეთა გ. გ. გუშაბაძემ.

სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, რესპუბლიკის სახელმწიფო საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარის, დეპუტატ ო. გ. ვარძელაშვილის ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების კანონის პროექტის თაობაზე.

ინფორმაცია ალტერნატიული სამსახურის სამართლებრივი რეგლამენტაციაზე და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ო. ვ. კვიციანიამ.

დღის წესრიგის გამო კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ვ. რ. ახათიანი, დ. ნ. დვლიშვილი, ჯ. ა. ჩარკვიანი, ა. ი. კვანაცხე, ვ. ა. შარაშენიძე, ნ. რ. ნათაძე, ვ. ა. პატეიშვილი, გ. შ. ციციშვილი, ლ. ლ. ლომოურიძე, რ. შ. კვიციანი, ბ. წ. მაყაშვილი, თ. ზ. ხაჩარაძე, ო. დ. ქინქვაძე, რ. ა. ჯაფარიძე, კ. კ. გარდაფხაძე, ვ. პ. ევანჯია, გ. ი. გუნავა.

სესიამ მიიღო დადგენილება საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებაში დამატებათა შეტანის თაობაზე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭომ მიიღო მიმართვა რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოსადმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგების შეფასების თაობაზე.

ქოსადმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგების შეფასების გამო.

შემდეგ სესიამ მიიღო დადგენილება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამართლებრივი მექანიზმის შექმნის შესახებ. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შეიქმნას კომისია, რომელშიც შევლენ დეპუტატები და სპეციალისტები, აგრეთვე პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისა და მოძრაობების წარმომადგენლები.

გადაწყდა, ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით, დაიხვეწოს და მომდევნო სესიის განსახილველად იქნეს გამოტანილი საქართველოს მოქალაქეობის კანონის პროექტი, აგრეთვე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საყოველთაო დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნების კანონპროექტი: არჩევნები 1990 წლის 28 ოქტომბერს არის დანიშნული. სესიამ მიზანშეწონილად მიიჩნია გაგრძელდეს მუშაობა მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის, პოლიტიკური პარტიებისა და მასობრივი მოძრაობების კანონის პროექტზე და ზრუნველყოფილ იქნას მისი შესატყვისობა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების კანონის პროექტთან.

სესიამ პირველი წაკითხვით მიიღო საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლები კანონი. მილიანად არის მოწონებული აგრეთვე ალტერნატიული (შრომითი) სამსახურის კანონი, რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარე, მიღებულია დადგენილება შეფასდეს სსრ კავშირის მთელი რიგი კანონები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის საფუძველზე.

დეპუტატებმა დაამტკიცეს შესაბამისი დადგენილებები საქართველოს მოქალაქეობის კანონის პროექტის, საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებისა და არჩევნების დანიშვნის თაობაზე.

ნის კანონის ძირითადი კონცეფციის, მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პოლიტიკური პარტიების, მასობრივი მოძრაობების, პროფესიული და შემოქმედებითი კავშირების, ნებაყოფლობითი საზოგადოებების, ასოციაციების კანონის პროექტის თაობაზე.

სესიამ პირველი წაკითხვით მიიღო საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების კანონი და შესაბამისი დადგენილება.

მიიღეს ალტერნატიული (შრომითი) სამსახურის კანონი და შესაბამისი დადგენილება, აგრეთვე დადგენილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის საფუძველზე სსრ კავშირის მთელი რიგი კანონების შეფასების შესახებ.

დღის წესრიგის საკითხთა განხილვის დროს ზოგიერთ მათგანზე შენიშვნები და წინადადებანი გამოთქვეს დეპუტატებმა პ. პ. ჩხეიძემ, ე. ა. ბერიძემ, ზ. ა. კვაჭაძემ, ნ. ა. ნათაძემ და რ. შ. კვიციანიამ.

დეპუტატთა წინადადებით მიიღეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს განცხადება, რომელშიც ცნობენ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის თვითგამორკვევის უფლებას და პოლიტიკურ ნებას, შექმნან ნამდვილად სუვერენული სახელმწიფოები, გამოთქმულია მზადყოფნა დაამყარონ პირდაპირი სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ურთიერთობა.

დეპუტატებმა მოიწონეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება რესპუბლიკის ტერიტორიაზე „დეკრეტული“ დროის გაუქმების შესახებ. ამ საკითხის გამო ახსნა-განმარტება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა ბ. დ. მახარაშვილმა.

ამით სესიამ მუშაობა დაამთავრა.

(საქინფორმში).

საქ. სსრ კ. პარტიის
სახ. საბ. რესპუბ.
მახლოობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

„დეკრეტული“ დროის მოქმედების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გაუქმდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხელისუფლებით შექმნილი წინმსწრები „დეკრეტული“ დროის მოქმედება, რაც კმნიდა დიდ უხერხულოებას სახალხო მეურნეობის დარღვევისა და სოციალურ-კულტურული სფეროს ფუნქციონირებაში. მიმდინარე წლის 24 ივნისის 2 საათიდან იცვლება დროის აღრიცხვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე და საათის ისარი ერთი საათით უკან უნდა გადაიწიოს.

საქინფორმში



რეპეტიციის

ეს ფოტოები ფოტოლორის სახალხო გახლავთ გადაღებული, თბილისის მოსწავლეთა ყოფილ მხატვრული აღზრდის სახლში. დიდა ხანი არ არის, რაც კულტურის ამ კერას სახელწოდება შეეცვალა. ანალოგიურადვე შეიძლება ითქვას ახლადშექმნილ ქართული ხალხური ცეკვის ჯგუფზე, რომელიც არსებობის მხოლოდ ხუთ თვეს ითვლის. ხელმძღვანელი გა-

ხლავთ რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი თემურ ჩხაიძე. ფოტოკორესპონდენტმა ჯავარ ლომამემ სწორედ მათი ერთ-ერთი რეპეტიცია აღებუდა ფირზე. ნორჩი მოცეკვავეები თავიანთ ხელმძღვანელთან ერთად ამ ზაფხულს წადგვიან ბავშვთა და მოზარდთა გამაჯანსაღებელ ბანაკში დაისვენებენ.

ჯავარ ლომამის ფოტო.





ბალტიის გზით - თავისუფლება

ლატვიაში, ლატვიაში

წარმომადგენლობის საბჭოსი გამოცხადდა. ამ სიტუაციაში ლატვიის ერთი უმთავრესი მიზანი და გარკვეული შემთავრება — გვირგვინი — გამოგვიჩვენა — ერთგულ უმცირესობაში არ დარჩენილი საერთო მიზანია...

არადა, ამის საშიშროება არსებობს...
 „მიზნები ლიტვასა და ჩვენ ერთი გვაქვს, მაგრამ ჩვენ, ბევრად უფრო ჰეროიკული მოსახლეობის გამო, მრავალჯერ უფრო დიდხანს უნდა ვიყოთ და მთელი სისრულით გამოვიყენოთ გარდამავალი პერიოდში“ — ხაზგასმით ითქვა მას შემდეგ, რაც 1990 წლის 4 მაისს ლატვიის უმაღლესმა საბჭომ ლატვიის დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო.

მოსახლეობის სიჭრელსთან დაკავშირებით ერთი დამამბლებელი განცხადება გაისმო, თურმე, ლატვიის „ჩვენი“ ლატვიელები, რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ებრაელები და სხვები მთელი პასუხისმგებლობით ვაცხად-

ებო, მგონი, ამ უკანასკნელის განხორციელებაში საფუძვლიანად შეგვეცილა რუსეთის ფედერაციის, რაც დღეს რუსეთში ხდება, ლახვარს სცემს ყოველგვარ რეაქციულ ძალას ყველგან და წითელი შორის — ლატვიის. მას შევძლებ, რაც რუსეთი სუვერენიტეტს აცხადებს, თვით პოლიტიკაში ყველაზე ნაკლებად ჩაბედულ ადამიანსაც დაეხმება კითხვა: „რას წარმოადგენს დღეს საბჭოთა კავშირი, როცა მის შემადგენლობაში ყოფნა (ყოველი შემთხვევისათვის უწინდელ პირობებში) თვით რუსეთსაც კი აღარ სურს?“

იქნებ ამ კითხვას თავად მოსკოვმა გასცეს პასუხი? მაგრამ ჩვენი წინააღმდეგ მომართული ყოველი მორიგი აქციის შემდეგ ხომ ის იმდენად იხლართება უსაფუძვლო არგუმენტებში, რომ...



რიგა. 15 მაისი, პარლამენტის წინ.

ებთ, რომ კანონებს, რომლებიც ამერიკიდან უნდა ვიცხოვროთ, მივიღებთ რიგაში და არა შორეულ მოსკოვში“.

შორეული მოსკოვი კი ჯერჯერობით დუმს. და იქნებ მას შემდეგ, რაც მან თავისი პოზიცია გამოხატა, როცა 14 მაისს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა გამოაცხადა ბრძანებულებები, რომლებიც ბათილად უქანონდა და იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა ესტონეთისა და ლატვიის უზენაესი საბჭოების მიერ სახელმწიფო სტრუქტურის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებანი, მას გარკვეულად კიდევ აქვს დუმისის საფუძველი... თუმცა ლატვიაში ასე ნაკლებად ვინმე ფიქრობს...

„მოსკოვი ჩვენს ვალს ვერასოდეს გაისტუმრებს“

ამბობს ლატვიის სახალხო ფრონტის თავმჯდომარის შოალდალე ინტს უპმარისი, რომელიც კონკრეტულად ახსნას უძებნის მოსკოვის დუმისსაც და ყველა მის საქციელსაც:

— დღეს ლატვიაში ბევრი და მათ შორის მეც ვფიქრობ, რომ მოსკოვი შოკშია. მან არ იცის, რა მოიმოქმედოს. ჯარები შემოიყვანოს? მაგრამ ჩვენ ხომ არაფრით ვაძლევთ ამის საბაბს — რესპუბლიკაში არ ხდება მასობრივი უწესრიგობები, არ ვმართავთ ხალხურად მიტინგებს, ერთი სიტყვით, მის წისქვილზე წყალს არაფრით ვასხამთ.

ლატვიის სახალხო ფრონტის დარსებიდან დღემდე ცენტრი მისი ჩაბუნძელდა გაკვირის, რომ ჩვენი ერთადერთი მიზანი ძმური საბჭოთა კავშირის დანგრევაა. თუ-

...გახსოვთ, ალბათ, რა გამალებით სთხოვდა მოსკოვი ვალს ლიტვას. საკუთარ მოვალეობად გამოგვიცხადა ჩვენც და ესტონეთიც. მაგრამ იცით, რა დადგინდა ზუსტი ეკონომიკური გამოთვლები შემდეგ? მოსკოვს, ნუ იტყვით და, აქედან ჰქონია ლატვიაში ვალს — 65 მილიონი მანეთი...

იქნებ, ეს თანხა არც თუ ისე შთაბეჭდილავია, მაგრამ იმას ხომ მაინც ცხადყოფს, როგორ უტყვის ვალ გვევლეფდინ მთელი 50 წლის განმავლობაში. ისე კი მოსკოვი ჩვენს ვალს ვერასოდეს გაისტუმრებს, რომელი ერთი ჩამოვთავალო: ორი მსოფლიო ომი, 1914 წელს გაძარცვული და გაპარტახებული ლატვია, 1920 წლის მშვიდობიანი ხელშეკრულების დარღვევა, განადგურებული ერი, უსახლგო ცრემლი და წილილი, რესპუბლიკის დაცარიელებული ბიუჯეტი — ჩვენი სამეფო ორგანიზაციები ხომ ათეული წლების მანძილზე მთელ შემოსავალს ერთგულად ურიცხავდნენ საბჭოთა კავშირის ბანკს. სად წავიდა ეს თანხები, არავინ უწყის... და ამ დროს მოსკოვი მაინც არ ცხრება და ავსებდა ბრალს ამას რაჟეს სანრვე რესპუბლიკას.

თუნდაც ის რად ღირს, მთელ მსოფლიოს რომ მოჰქონა — ლიტვიაში შეიარაღებული ბანდები თავს ესხმიან ადგილობრივ მოსახლეობას და ზოცავენო, ცხადია, მსგავსი რამ ბალტიის არც ერთ რესპუბლიკაში არ მომხდარა. მაგრამ ცენტრისთვის მთავარი ხომ ჰქმნა იტება არ არის, მთავარი შანტაჟია... თუმცა მოსკოვი იმდენად და დახედა, რომ ხანდახან იმასაც კი ვეღარ ხედავს რაბიარის შანტაჟი მოგვიწყოს. დაბნეული იმიტომ, რომ მოსკოვს 50 ქვეყანას ლატვია საბჭოთა კავშირის

შემადგენლობაში არც არაოდეს უცვია. და კიდევ — სამი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია ფაქტობრივად კავშირის დასასრულის დასაწყისია. ამას დაუმატეთ რუსეთის ფედერაციის აქტიურობა. საბოლოო ჯამში ყოველივე ამას კავშირი კრახისკენ მიჰყავს.

მოსკოვი კიდევ იმტომაც არ ამხვილებს ჩვენზე ყურადღებას, რომ ხალხმა (სხვა რესპუბლიკების მოსახლეობა მყავს მხედველობაში) არ გაამახვილოს ყურადღება და არ იეითოს — ბოლოს დაბოლოს, გვითხარით, როგორ მოხვდა ბალტიის ეს სამი რესპუბლიკა კავშირის შემადგენლობაში. და რამ მოსკოვი ამის გარკვევას არ ჩქარობს, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ როცა იაკოვლევს კოიტხეს, სსრკ უმაღლესი საბჭოს კომისია ბოლოსდაბოლოს როდის გაარკვევს რა მოხდა ბალტიისპირეთში 40-იან წლებში, მან უპასუხა, ახლა ამაზე ლაპარაკი ნაკლებად და თანაც საშიშროა...

მოსკოვი მარტო იმის გარკვევას როდი აყოფენებს, თუ როგორ აღმოჩნდა კავშირის შემადგენლობაში, მას უნდა ისიც დაგვიტყვიოს, რომ ჩვენ უკანონოდ, კავშირიდან გასვლის (სინამდვილეში კი — არგავლის) ახალი კანონის დარღვევით მივიღეთ თავისუფლების დეკლარაცია. მიმაჩნია, რომ ეს კანონი (თუკი მასში შეიძლება რამე კანონიერი მოიძებნოს საერთოდ) შეიძლება შეეხოს, ვთქვათ, ბელორუსიისა და უკრაინას, მაგრამ არამც და არამც ბალტიის რესპუბლიკებს. რადგან ეს რესპუბლიკები არასოდეს შესულან კავშირის შემადგენლობაში, სამოკვეშირეო ხელშეკრულებაზე არაც ერთი მათგანის ხელმოწერა არ არსებობს. ამდენად, ცხადია, რომ ჩვენ კი არ გავდევართ კავშირის შემადგენლობიდან, არაფერ ვიბრუნებთ დაკარგულ დამოუკიდებლობას.

და საერთოდ, ეს ყოველივე მხოლოდ მარტებს. ვთქვათ, როცა უკრაინა და ბელორუსია კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ, ცენტრს საამისოდ სხვა რესპუბლიკების თანხმობა არ დასჭირებია... მაგრამ, როგორც კი ამ კავშირიდან ბალტიის რესპუბლიკების გასვლას საკითხი დადგა, უმალ გაჩნდა საჭირო ეს თანხმობა. არ მეჩანს, რატომ უნდა იყოს დამოკიდებული ჩვენი თავისუფლება-არათავისუფლება, ვთქვათ, ტაქტიკურად ან თურქმენეთზე... ან კიდევ მოსკოვში დამოკიდებულ და ჩვენთან მოქმედ ინტერფრონტზე...

თუმცა, დღეს კონკრეტულად ინტერფრონტი არც ისე საშიში ძალაა, მაგრამ საერთოდ ამ ბოლო ხანებში ჩვენში, რეაქციონერთა ყველა შხარის უჩვეულო კონსოლაცია შეიმჩნევა. გაერთიანდნენ და ერთად მოქმედებენ ინტერფრონტი, კომპარტია, ვეტერანთა საბჭო, ხელოვნურად შექმნილი მშრომელთა კოლექტიური ფორმირებები. ეს უკანასკნელი (ყოფნით გამბედაობა, უფრო სწორად კი — თავნებობა) ზოგჯერ მარტო რიგის კი არა, მთელი ლატვიის მშრომელთა სახელითაც გამოდიან ხოლმე.

ისე, ჩვენ სხვებზე თუნდაც ინტერფრონტზე მეტად მაინც კომპარტია გვხლავს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლატვიის ფილიალი მთელი მონდობით ავიწროვებს პროგრესულ პრესას, პარტიის რიგის საქალაქო კომიტეტი, მაგალითად, სულ ახლახან რიგის სალამოს გზუთების დახურვას ცდილობდა, ლატვიის კომპარტიის პირველი მდივანი კი ლამის ყველა საინფორმაციო წყაროს ჩანაშობას აპირებს და თუ ბოლომდე ვერ აღწევს შედეგს, მთრეგულარულ გამოსვლას მაინც აფერხებს...

არც ისაა გამორიცხული, რომ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, ესტონეთის მსგავსად, ლატვიაშიც შექმნან ორბელისუფლებიანობის საშიშროება. თუმცა ეს არ იქნება არც პირველი და არც ბოლო მათ მიერ ჩადენილი სისულელე...

„ჯერ ერთი, ჩვენ ვარისკაცები ვართ...“

ალბათ, ინტს უპმარისის სიტყვების (ეს არ იქნება მათ მიერ ჩადენილი ბოლო სისულელე) დასტური იყო, რაც 15 მაისს მოხდა რიგაში, პარლამენტის შენობის წინ. მაგრამ მანამდე გვინდა ლატვიის სახალხო ფრონტის გახეტი. „ატ-მოდა“-ს (ამჟამად ახალი სათაურით — „ბალტიის დრო“ — გამოცემის) დავესტონოთ ერთ ინფორმაციას. გავხეთის კორესპონდენტი შეხვდა ქალაქის მთავარ, ვერანის ბაღში (ამ ბაღზე კიდევ გვექნება საუბარი) უსაქმოდ მონეტარულ მდენსატეებს და რამდენიმე კითხვით მიმართა მათ:

— რას ფიქრობთ ბალტიის შემქმნილ მდგომარეობაზე?

— ამ საკითხებში ჩვენ არაფერს ვწყვეტთ — ყველაფერი ისე იქნება, როგორც მოსკოვში, „ვერხუშკაში“ გადაწყვეტენ...

— კი მაგრამ, სახალხო ფრონტები, არჩევნები არაფერს ნიშნავს?

— რა თქმა უნდა, ხალხის აზრსაც აქვს მნიშვნელობა... ხალხს შეუძლია გამოყოფა, თუკი მოახერხებს. საერთოდ კი, ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ხალხი ერთ, პარტია კი მეორე მხარეს მიდის.

— როგორია თქვენი როლი ასეთ სიტუაციაში? ეს კითხვა თბილისის, ბაქოს, ლიტვის მოვლენების შემდეგ გვეხმარება.

— ჯერ ერთი, ჩვენ ჯარისკაცები ვართ და არმიის ქვეყნის შიგნით გამოყენება არ უნდა ხდებოდეს. ამისათვის შინაგანი ჯარები არსებობს. საერთოდ კი დღეს არავის არაფერზე ნათელი წარმოდგენა არა გვაქვს — არც ჩვენ და არც ჩვენს ოფიცრებს...

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ოფიცრებს, მათი ქვეშევრდომებისაგან განსხვავებით, მთლად მაინც არ დახვედიათ „ნათელი აზრები“, რაც, როგორც კი ამის საშუალება მიეცათ, ასევე „ნათლად“ გამოამყვანეს კიდევ. მათი ათეულობით წარმომადგენელი თან ახლდა და ბრძანებებს აძლევდა ლატვიის პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ მოკლედ თმაგარეკილი ათასზე მეტ ახალგაზრდას, რომლებიც, როგორც მალე გაირკვა, ინტერფრონტის მოწოდებით მოსული რიგის შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები კი არა,


ბმა შექმნეს კომისია, რომელიც მოხდარ ფაქტს მისცემს შეფასებას.

საერთოდ კი ლატვიელები (და არა მხოლოდ ისინი) ალბათ, ამის შემდეგ უფრო რეალურად შეაფასებენ ამ სიტუაციასაც: „ჯერ ერთი, ჩვენ ჯარისკაცები ვართ...“ რადგან ახლა უკვე მთელი სათქმელია, რას გულისხმობდნენ და, რაც მთავარია, ხვალ რას მოიმოქმედებენ ამის მიქმელი ჯარისკაცები, რას უბრძანებენ მათ უფროსები, თუკი „ვერხუშკაში“ ახალი გადაწყვეტილება მომწოდებ...

ისევ და ისევ საპარტოველო სთვის...

მათ შორის, ვინც 15 მაისს, რიგაში წინ აღუდგა ვაფთრებულმა მხედრობა შემოტევას, ქართველ ახალგაზრდებს იყვნენ. აი ისინიც, რიგის სხვადსხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები: ბესო ბერაძე, ნონა დედეძე, მადამ კუპატაშვილი, ვია სიკინავა, ქართველი ზურაბ ქეცბაია...

სწორედ ამ ახალგაზრდებმა ჩამოაყალიბეს ლატვიის სახალხო ფრონტთან მეტად კონტრასტული და ვცდილობთ, ყველაფერი გავუვით მისი ლორსეტული წარმოდგენისათვის, ბევრჯერ მიზანსაც ვაღწევთ. ასე იყო წესი, აპრილში, როცა რიგის და მთელი ლატვიის საზოგადოებრიობამაც ფართოდ აღნიშნა 9 აპრილის წლისთავი. ამის შესახებ გავხეტი „სამშობლო“ საქალდეართდ მოულოდლო მკითხველს, მაგრამ ერთ რამეზე მაინც დავწყვიტა გული — არასდ, არც ერთი სიტყვით არ უხსენებია, რომ ყოველივე ამის ინიციატორები, ლატვიის სახალხო ფრონტთან ერთად, ჩვენც ვიყავით, მეტად კონტრასტული სახეობის ქართველთა საზოგადოება. ისე ნუ გავგვივით, რომ მაინცდამაინც თავის გამოჩენის და ჩვენი გვარების გამოჩენების სურვილი გველავდეს, მაგრამ ერთი კი ცხადია — მიუხედავად ლატვიის სახალხო ფრონტისადმი ჩვენი დიდი სიმპათიისა და მხარდაჭერისა, მაინც არ გვინდა მის უბრალო



რიგა. 4 მაისი, ლატვიის თავისუფლების დეკლარაციის მიღებასთან დაკავშირებით გამართული მანიფესტაცია.

სამხედრო სასწავლებლების კორსანტები აღმოჩნდნენ (ინტერფრონტის მიზანი იყო, დამუტატებისთვის ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენა მოეთხოვა). გააფთრებული სამხედრო დემონსტრანტები პარლამენტის შენობაში შეკრას ლაობდნენ, მათ მალე გაართვიეს კიდევ მილიციისა და ლატვიელ მოპიკეტეთა რიგები... მაგრამ, საბედნიეროდ, დროზე მოვიდნენ მილიციის განსაკუთრებული დანიშნულების რაზმები, რომლებმაც შეტევაზე გადასული ოფიცრები და კურსანტები გაფანტეს. სესიამ სათანანგვრით შეწყვიტა მუშაობა, შემდეგ კი დეპუტატ-

დანამატად ვიქცეთ და მხოლოდ მისი ინტერესებით ვიცხოვროთ. სადაც არ უნდა ვიყოთ, ჩვენი უბირველესი საფიქრალი საქართველოა და გვინდა, ფიქრს საქმეც მოვაყოლოთ. და ეს მუდამ ასეც იქნებოდა, ლატვიაში მცხოვრები ქართველები (ამჟამად ლატვიაში 1000 ქართველია) უფრო აქტიურად რომ ედგნენ მხარში ჩვენს საზოგადოებას და კიდევ — საქართველოში ჩვენს მიმართ იოტისოდენ ყურადღებას მაინც რომ იჩენდეს ვინმე, კონკრეტულად კი საქართველოს სახალხო ფრონტი, ვისთან კონტაქტსაც ჩვენ აგრერივად ვლაპობთ რიგაში რომ ჩამოდიან მისი ცალ-

გზით

სამუშაო...

კვლევი წარმომადგენლები ლამის დასმარების ოქროს მთებს გვიპირდებიან, მაგრამ თვალს მოეფარებინ და ყველაფერი აეფუცდებოდეს. არადა ჩვენ ყოველთვის მზად ვართ საქმიანი კონტაქტების დამყარებისათვის. — შეგვიძლია რიგგამო მივიწვიოთ ქართული კულტურის, ხელოვნების წარმომადგენლები, მოვუწყუოთ მათი შემოქმედებითი საოპერები, ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენები. ასე მაგალითად, ჩვენი უშუალო მეცადინეობით და დახმარებით დღე-დღეზე რიგგამო ჩამოვა და კონცერტებს გამართავს ლანჩხუთის ბირველი საშუალო

წავს კონსტიტუციიდან მე-6 მუხლის ამოღება, თუ პარტაპარტს დაუტოვებთ მინობოლიას, რომელიც მას არ ეკუთვნის... ჩანს, ლატვიელმა ჟურნალისტებმა უკვე საფუძვლიანად გაარკვეეს თავიანთი დამოკიდებულება კომპარტიის გამომცემლობასთან, ქართველი ჟურნალისტები რაღას ვუცდიდით?... როდის დავიბრუნებთ საწყის მდგომარეობას?..

„ჩვენი სახელია ეინარს რეპუტაცია“

ამ ახალგაზრდა კაცზე (28 წლისა) ლატვიის ათას ამაზეც უკვე-

მხოლოდ ორი რამ გვაბრკოლებს: ჩვენივე გამოუცდელი და ძველი პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატი. დღევანდელ სესიას ჯერაც მრავალად ესწრებიან მინისტრები, რომელთა უმრავლესობა წლების მანძილზე ძველ აპარატში მსახურობდა. მაგრამ ბიუროკრატიულ თვისებებთან ერთად, მათ დიდი გამოცდილებაც აქვთ. ამიტომ ჩვენ ვაძლევეთ შანსს და ვიყენებთ მათ გამოცდილებას. თუკი ჩვენს უმაღლეს საბჭოს არ დაეპყროფილებს ამ მინისტრების მუშაობის მეთოდები, ჩვენ მათ უმაღლეს ვეცდებით. ჩემთვის ცნობილია, რა დამოკიდებულებაა დღეს საქართველოში უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში არსებული სტრუქტურების სასიკეთოდ გამოყენება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე პარალელურად დაუმთავრებელი ძეხნა... არჩევნები ჩვენთანაც არ ყოფილა მთლად დემოკრატიული, მაგრამ ხომ გავიმარჯვეთ. მერა, ასე იქნება საქართველოშიც. ოღონდ დროს უნდა გაუფრთხილდეთ, დრო არ უნდა დაჟარგოთ. ჩვენ სწორედ ასე ვიქცევით — მაგალითად, მოსკოვის დღილი ჩვენ მეტი ფიქრის და რაც კიდევ უფრო მთავარია, მეტი საქმისათვის ვიყენებთ. ცენტრი თუ დღეს და მომავლად პოზიციებს ემტებს, ასევე ვიქცევით ჩვენც. მოგებული კი... მერა, ამჯერად მოგებულნიც და გამარჯვებულნიც ჩვენ დავრჩებით...

დაბოლოს, ისე არ გვინდობდა ლატვიისთან და რიგასთან გამომვიდობებდა ერთი ორი იქაური პარადოქსიც არ გავგეცნო მკითხველისათვის. მაგრამ იმას, რაც ჩვენმა კოლეგამ, ლატვიის ტელევიზიის თანამშრომელმა რაიტს ლუბინსკიმ გვიამბო, პარადოქსს ვეღარ დავარქმევთ, მას ერთი სახელი აქვს — მკრეხელობა. ზემოთ უკვე ვახსენეთ რიგის ერთ-ერთი უძველესი გერმანის ბალი. ამ ბალისთვის 1817 წელს ჩაუყრია საფუძველი ვინმე გერმანის ქალს, ვაქრის ქერვის, რომელიც შემდგომაც კარგა ხანს ზრუნავდა ბალის კეთილმოწყობაზე. ძველი რიგის ამსახველ ფოტოალბომებში გერმანის ბალი ესეა ატრაქციონებით, არის ესტრადა, სადაც კონცერტები იმართებოდა...

ლატვიის გასაბჭოების შემდეგ გერმანის ბალი შედარებით გაუკაცრიელდებოდა, დღეს აღარც ატრაქციონებიანა შემორჩენილი და არც ბევრი სხვა რამ, სამაგიეროდ ბალის ცენტრში ამჟამად დგას კიროვის ბიუსტი, რომლის სახელიც (ნეტავ რა დამსახურებითა თვის?) სულ უკანასკნელ ხანებამდე ერქვა თავად ბალსაც. როგორც რაიტს ლუბინსკიმ გვითხრა, ახლახან ბალს კვლავ მისი დამარსებლის სახელი დაუბრუნდა, მაგრამ არაფერ უწყის, როდემდე იქნება აქ კიროვის ბიუსტი, რომელიც, ენა არ გვიბრუნდება და, თურმე, ქალბატონ გერმანის საფლავზე... ყოფილა აღმართული... და კიდევ ერთი — გასაბჭოებამდე რიგაში აღმართულ თავისუფლების ქანდაკებას თავისუფლების ბუღვარს და შემდგომ თავისუფლების ქუჩა მოსდევდა. და ეს ყველაფერი ერთ, მთლიან, ორგანულად შეწყვეტილ კომპლექსს ქმნიდა რიგის ცენტრში. გასაბჭოების შემდეგ თავისუფლების ბუღვარსა და თავისუფლების ქუჩას შორის ლენინის ძეგლი აღიმართა, ხოლო ქუჩას ლენინის სახელი ეწოდა. ახლახან ქუჩას თავისი ძველი სახელწოდება დაუბრუნებია, ლენინი კი... ისევ დგას. ერთადერთი, — გვითხრა რაიტსმა, — რითაც ვიმშვიდებთ თავს რიგელები, ისაა, რომ თავისუფლების ქანდაკება და ლენინის ძეგლი ერთმანეთს ზურგმეტყვევით უდგანანო...

რუსულად ლეგანია, მარინა დონაია, ჩვენი ხანდაზღობი კორესპონდენტები. **რიგა-თბილისი** 1990 წლის მაისი. **მეშარ თეზისის** ფოტოები.

კავკასია — ჩვენი საერთო სახლი

26 ივნისს, სამშაბათს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო დარბაზში (ილია ჭავჭავაძის გამზირი, 1) დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თაოსნობით გაიმართება შეხვე-

დრა-ხემინარი: „კავკასია — ჩვენი საერთო სახლი“, რომელიც ოთხ დღეს გახატანს. დღეს გთავაზობთ მწვანეთა მოძრაობის პირველ განცხადებას.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ისახავს კავკასიელ ხალხთა სულიერ დაახლოებას, რათა ამ ხალხების მიერ ინტელექტუალურ-ხელოვნური ძალების მთლიანად გადარჩინოთ სიცოცხლე, დავიცვათ და მომავალ თაობებს შევუნარჩუნოთ ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა ჩვენს საერთო სამშობლოში — კავკასიაში.

ჩვენს მიერ ამ მიზნით დაგეგმილ ღონისძიებათაგან ერთ-ერთი არის საერთო კავკასიური კონგრესი, რომლის ჩატარებასაც ამ წლის შემოდგომაზე ვაპირებთ. მანამდე კი საჭიროა ჩავთვალოთ მოსამზადებელი შეხვედრა-ხემინარის გამართვა, რომელზედაც კავკასიელ ხალხთა წარმომადგენლებს შესაძლებლობა ექნებათ გაიგონ ერთმანეთი, ისაუბრონ კავკასიური ეთნოსის, კულტურისა და მსოფლგანცდის თავისებურებებზე, წარმოაჩინონ თავიანთი რეგიონის მწვანე ეკოლოგიური პრობლემები და შექმნან მომავალი კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტი.

როგორც კონგრესის, ასევე ხემინარის დღეებში: **კავკასია — ჩვენი საერთო სახლი**. ეკოლოგიური პრობლემების ძირითადი მიმართულებებია: კავკასია. საარსებო გარემო. რესურსები და მათი გამოყენება. განვითარების პერსპექტივები. კავკასიის საერთო ეკოლოგიური და ეკონომიკური კონცეფციისათვის.

ჰუმანიტარული ნაწილი მოიცავს შემდეგ საკითხებს: კავკასიური მითოლოგია, კავკასიური ფოლკლორი, კავკასიელ ხალხთა ენები, კავკასიელი ხალხთა ეთნო-კულტურული ურთიერთობანი, კავკასიელ ხალხთა სამეურნეო ურთიერთობანი ისტორიისათვის, ეკოლოგიის ხეობრივ-ფილოსოფიური და რელიგიური საფუძვლები; ძველ კავკასიელთა ადამ-წყებში, ფოლკლორსა და პოეზიაში დაფიქსირებული ეკოლოგიური ცოდნა-გამოცდილება. იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს მწვანეთა მოძრაობის სურვილი — დაახლოვდეს ერთმანეთსა და გაუცხოებული კავკასიელი ხალხები და მათი ძალებისშეერთებით შეუძლებს სიცოცხლის და ტრადიციული კულტურის გადარჩენას კავკასიაში — თქვენი ყურადღების მიღმა არ დარჩება. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ნახოს და წაიკითხოს მიმდინარე წლის სხვა პუბლიკაციები: „ახალგაზრდა ივერიელი“ (20 იანვარი, 17 მაისი); „თბილისი“ (15 ივნისი), „ჩვენი რეპუტაცია“ (28 მაისი), „ქართული ფოლკი“ (6 ივნისი)... მუშაობს პრესცენტრი.

ჩვენი მისამართია: 380012, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, 182, ტელეფონები: 34-80-68; 35-16-74.

საპარტიკლოს მწვანეთა მოძრაობა.

გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“ რედაქტორს

მიმდინარე წლის 5 ივნისს თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა ახალგაზრდა სპეციალისტთა დასკვნა ლაქების წყალსაცავის აშენების მიზნით უწოდებლობის შესახებ. დასკვნაზე ხელმოწერათა შორის არის ჩემი გვარიც. ამის თაობაზე აუცილებლად ვთვლი განვაცხადო შემდეგი. აღნიშნული ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა არ მიმიღია, ჯგუფის წევრებთან ერთად მხოლოდ ერთხელ, 1989 წლის დეკემბერში ვაგვიმზავრე მშენებარე ობიექტზე არაოფიციალური კონსულტანტის რანგში, რის შემდეგაც ჯგუფის ხელმძღვანელს წერილობითი ფორმით გადავეცი ჩემი მოსაზრებები პრობლემის

კვლევის თაობაზე. საექსპერტო ჯგუფის წევრი არ ვყოფილვარ, არ შემისწავლია სათანადო დოკუმენტაცია, გაზეთში გამოსაქვეყნებელი დასკვნის ტექსტს წინასწარ არ გავცნობივარ და მასზე ხელი არ მომიწერია. როგორც გავარკვეე, ჩემი გვარი გაზეთში დაბეჭდვის მასალაში მხოლოდ რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, რის გამოც მის მიმართ არავითარი პრეტენზია არ გამაჩნია. ვთხოვთ, ჩემი განცხადება აუცილებლად გამოაქვეყნოთ გაზეთის უახლოეს ნომერში.

ბიორგი შიხაშვილი 21.06.90.

წარმომადგენლის რედაქციას

განმარტების მიზნით

დაძაბულ პერიოდში კიდევ უფრო ნუ დაძაბავთ სიტუაციას და ყველას ნათქვამს ნაჩქარევად ნუ გადავიტანთ პრესის ფურცლებზე.

ვარკა ჯაფარიძე, გ. შუხაძის პენსიონატისა და სხვათა დახმარებით ს/კინსტიტუტის კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელი, შედეგების შეცნობისათვის დოქტორი, პროფესორი.



რიგა, 15 მაისი. პლაკატები მოუწოდებენ: 1. დემუტატებო, მტკიცედ იდგეთ ბალტიის ვაზე! 2. თავისუფლება ლატვიას!

სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. მოკლედ, ჩვენ აქ, შორეულ ლატვიისშიც საქართველოს განუყოფელი ნაწილი ვართ, მისი ტკივილი გვტკივდა და სინარული გვიბარია. სანამ საქართველოში დავბრუნდებოდეთ, აქვე გამოვვიწოდოთ დახმარების ხელი და გვიმისხურეთ კიდევ, ცხადია, — ისევ და ისევ საქართველოსთვის...

უნდა დავუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ლატვიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კომპარტიამ დაიწყო დაწოლა პროგრესულ პრესაზე. გზას უკეტავს გაზეთებს, რომლებიც მის ბალანსზე არიან. როგორ შეიძლება ამ შემთხვევაში საკუთრების საკითხის გადაწყვეტა? — ჰკითხეს ლატვიის მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირების წევრს ვიქტორ ავოტინმა. — სულ უბრალოდ, — უპასუხა მან, — სიტუაცია საწყის მდგომარეობას უნდა დაუბრუნდეს. 1967 წელს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის „ტრიბუნი“ გადაწყვეტილებით ლატვიის ჟურნალისტთა და გაზეთების გამომცემლობა გადაკეთდა ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობად. ფაქტობრივად, ოცნე მეტი წლის განმავლობაში ყველა რესპუბლიკური გაზეთი და ჟურნალი, ვინც არ უნდა ყოფილიყო მათი გამომცემელი, მთელ შემოსავალს პარტაპარტს ურიცხავდა, თავად კი გროშები რჩებოდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ბევრადი სიტუაციის სახლი, რომელიც ჩვენ ახლა ვართ და რომელიც აგრეთვე გვამაღლიან და გვედავებინან, ალბათ, მრავალჯერს გვაქვს გამოცდილება... მოკლედ, — დასძინა ბოლოს ავოტინმა, — ბევრს არაფერს ნიშ-

ბიან. ის კარგა ხანს ლატვიის ყველაზე რადიკალური — ეროვნული დამოუკიდებლობის მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენელი იყო ხოლო მას შემდეგაც რაც ხელისუფლებამ მოძრაობის დაშლა და მისი წევრების დაპატიმრება გადაწყვიტა, ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც არაფერს წინაშე არ შედრკა და ბოლომდე იცავდა მოძრაობის იდეებს...

დღეს ეინარს რეპე ლატვიის ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტარია. ჩვენ მას პარლამენტთან, სესიის სხდომებს შორის შეხვედრების დროს, შევხვდით:

— ჩემი სახელია ეინარს რეპე. როცა დემუტატად ამირჩიეს, სიმართლე გითხრათ, არც კი მჯეროდა, ისე მაღე თუ აღსრულდებოდა ის, რისთვისაც ვიბრძოდით... ჩვენი ორგანიზაციის უპირველესი მიზანი ხომ ხალხის 50-წლიანი ძილქუშისაგან გამოღვიძება იყო...

რაც შეეხება არჩევნებს, ის არ იყო მანცდამანც დემოკრატიული: მონაწილეობდა არმია, მონაწილეობდა ის ხალხიც, ვინც სულ ახლახანს ჩამოვიდნენ ლატვიის სავაჭრობო რუსულ პრესაში საოცარი დეზინფორმაცია მიდიოდა ჩვენი დემოკრატიული მიზნების შესახებ. ჩვენი მოწინააღმდეგეები აშკარად გვიბრძობდნენ არალატვიელ მოსახლეობას, მოკლედ, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ხელი შეეშალათ არჩევნებისათვის... მაგრამ ჩვენ მაინც გავიმარჯვეთ.

დღესდღეობით, უმაღლეს საბჭოში ჩვენ ყოველმხრივ უფლებამოსილი ვართ, შეგვიძლია დაუბრკოლებლად მივიღოთ ლატვიელი ხალხისათვის სასოცოლოდ მნიშვნელოვანი ნებისმიერი გადაწყვეტილება. ჩვენ დღეს

ტოსურათი ზომით 3X4; საბუთების შეტანისას შემსვლელი პასპორტს წარმოადგენს პირადი. სალონისა და დაუსწრებელი ფორმის სწავლებლებზე შემსვლელზე უნდა წარმოადგინონ ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

ვლების ფორმებზე მიიღებინა მხოლოდ ის პირები, რომლებიც მუშაობენ არჩეული სპეციალობის პროფილით.

მათემატიკა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი) ან სსრკ ისტორია (ზეპირი), — არჩევით, სახვითი ხელოვნება (ხატვა, ფერწერა);

სახე. 4. ექვსი ფოტოსურათი (ზომა 3X4); 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მომუშავეთათვის), კოლმეურნეებს შრომის წიგნაკში უნდა ჰქონდეთ კოლმეურნეობაში დაწესებული შრომადღებების მინიმუმი.

სიულ-ტექნიკური სასწავლებლების პედაგოგთა საბჭოების, სახალხო განათლების ორგანოების, შრომითი კოლმეურნეობის რეკონსტრუქციებით უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, თადარიგში დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეები.

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აქციაზე მიღება 1990-1991 სასწავლო წლისათვის დღის განათლების უმაღლესი სასწავლო დაწესებულება და სპეციალიზაცია:

- 1) ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი:**
 - სპეციალობები: ა) ქართული ენა და ლიტერატურა, ბ) ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოგრაფია (ქართული სექტორი), გ) სომხური ენა, ლიტერატურა და ქართული ენა, ლიტერატურა.
- 2) რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი:**
 - სპეციალობები: ა) რუსული ენა და ლიტერატურა, ბ) რუსული ენა და ლიტერატურა, ეროვნული (ქართული) სკოლებისათვის, გ) რუსული ენა, ლიტერატურა და ქართული ენა, ლიტერატურა, დ) აზერბაიჯანული ენა, ლიტერატურა და ქართული ენა, ლიტერატურა.
- 3) ისტორიის ფაკულტეტი:**
 - სპეციალობა: ისტორია (ქართული სექტორი).
- 4) პედაგოგიური ფაკულტეტი:**
 - სპეციალობები: ა) დაწყებითი განათლების პედაგოგია, მეთოდოლოგია და სახვითი ხელოვნება (ქართული და რუსული სექტორები), ბ) პედაგოგია და ფსიქოლოგია (სკოლამდელი) (ქართული სექტორი); გ) მუსიკა და აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდოლოგია (ქართული სექტორი).
- 5) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი:**
 - სპეციალობები: ა) მათემატიკა (ქართული და რუსული სექტორები); ბ) ფიზიკა (ქართული სექტორი).
- 6) ზოგადგანათლებისა და სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი:**
 - სპეციალობები: ა) შრომა (ქართული სექტორი), ბ) ხაზვა, სახვითი ხელოვნება და შრომა (ქართული სექტორი).
- 7) საკანონმდებლო ფაკულტეტი:**
 - სპეციალობები: ა) ქიმიკა, და ბიოლოგია (ქართული სექტორი), ბ) ბიოლოგია და ქიმიკა (რუსული სექტორი), გ) გეოგრაფია და ბიოლოგია (ქართული სექტორი).
- 8) გოლენისის ფილიალის სპეციალიზაცია:**
 1. ქართული ენა და ლიტერატურა;
 2. ისტორია (ქართული სპეციალიზაცია);
 - 3) შრომა (ქართული სპეციალიზაცია);
 4. დაწყებითი განათლების პედაგოგია, მეთოდოლოგია და სახვითი ხელოვნების სპეციალიზაცია (ქართული სექტორი);
 5. პედაგოგია და ფსიქოლოგია (სკოლამდელი) (ქართული სექტორი);
 6. მუსიკა და აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდოლოგია (ქართული სექტორი);
 7. მათემატიკა (ქართული სექტორი);
 8. მათემატიკა (რუსული სექტორი);
 9. მათემატიკა (რუსული სექტორი);
 10. დაწყებითი განათლების პედაგოგია, მეთოდოლოგია და სახვითი ხელოვნების სპეციალიზაცია (რუსული სექტორი) მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

მიმდები კომისია

1. ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი);

მიმდები კომისია

1. ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი);

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელი

აქციაზე მოსწავლეთა მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის წარმოადგინონ რიონის კულტურის განყოფილების მიმართულებით.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელი

აქციაზე მოსწავლეთა მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის წარმოადგინონ რიონის კულტურის განყოფილების მიმართულებით.



სასიამოვნო საქარაქო სიასლანი

ჩვენ სულ უფრო ხშირად გვახარებს ქართველი მოქარაქეების არამეტო მონაწილეობა, არამედ გამარჯვება დიდი საერთაშორისო რეზონანსის მქონე შეჯიბრებებში. სწორედ ასეთ წარმატებებზე ვისახებთ დღეს.

შეგახსენებთ, რომ გ. კასპაროვი — ა. კაროვის შეხვედრა გაიმართა ოქტომბერ-დეკემბერს ჯერ ნიუ-იორკში, მერე ლიონში (საფრანგეთში). მეტოქეებმა 24 პარტიაში უნდა გაარკვიონ ურთიერთობა. ცხადია, მსოფლიო ჩემპიონის სექუნდანტები მასთან იქნებიან ამ ხნის მანძილზე.

ახლა თექვსმეტწლიანაზნი

კვლავ გვასახელა თბილისის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე, ფილეს ოსტატმა თეა ლანჩავამ. მან გაიმარჯვა სინგაპურში გამართულ მსოფლიო პირველობაში 16 წლის ასაკშივე გოგონათა შორის. თერთმეტ შეხვედრაში მან 8,5 ქულა დააგროვა.

ეს თეა უკვე მეორე დიდი მიღწევაა. 1988 წელს იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა 14 წლის ასაკშივე გოგონათა შორის.

ამ წარმატებაში თვალნათლივ ჩანს თეას დიდი მონდობა, ნიჭიერება და ხიზა გაფრინდაშვილთან შემოქმედებითი ურთიერთობის ნაყოფი. შეგირდი ოსტატის ღირსი აღმოჩნდა.

პარსკაპიული ახალგაზრდა

საქართველოს ახალი ჩემპიონი, 19 წლის სანდრო დგებუაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია. მან ჩინებულად წარმართა ზოლოდა რეკონსტრუქციის სათბილო, 50-ე ჩემპიონატში, სადაც 15 შეხვედრაში 11 ქულა მოაგროვა. იგი თავიდან ლიდერობდა, სტარტზე 5-დან 4,5 ქულა ჰქონდა.

ახალი ჩემპიონი ნიჭიერი მოქარაქეა. სერიოზულად ფიქრობს გაკვეთს ჰადრას, დაეუფლოს მის მწვერვალს. ამაში მას ხელს შეუწყობს სსრ კავშირის ვაჟთა 57-

ჩემპიონატის ნახევარ-ფინალში მონაწილეობაც. ეს ტურნირი მოეწყობა ივლისში ქალაქ დაუგავილისში. მისი საგზურები მიიღეს სანდრო დგებუაძემ და საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონმა, ოსტატმა გია ბალაბერაძემ, რომელმაც II ადგილი (10 ქულა) დაიკავა.

პრიზიორებში არიან აგრეთვე გივი გოგინაშვილი (9 ქულა, III ადგილი), ნუკრი მანაგაძე, კახა შალამბერიძე და იანის პოპოვი (8,5-8,5. IV-VI).

ჩემპიონატმა ცხადყო, რომ პერსპექტიული ახალგაზრდობა გვყავს. საქირთა ზრუნვა მათ სპორტულ-მედიკინურად ზრდაზე გვეჭირდება ძლიერი შემადგენლობის ტურნირები, მაღალი კვალიფიკაციის მწვერვლები. ჩვენს რთულ დროში არც ისე ადვილია ამ საკითხების მოგვარება, მაგრამ აუცილებელია, თუ არ გვინდა დაკარგოთ ტალანტები. ქართული ჰადრას შემდგომი პროგრესი მეტ ყურადღებას მოითხოვს.

პირველად ფინალში

დღეს არავის უკვირს სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში ქართველი მოქარაქის მონაწილეობა. მაგრამ ამ საბრძოლველ ტურნირის საგზურის მოპოვება მუდამ ახარებს გულშემოტიკურებს. ამას წინათ ასე გაახარა ისინი ოსტატმა ნათია ჯანჭავაძემ.

სსრ კავშირის ქალთა 50-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში, რომელიც ბელორუსის ქალაქ პინსკში გაიმართა, ნათია I ადგილი და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. მან 16 შეხვედრაში 9 ქულა მოაგროვა და ნახევარი ქულით ჩამოიტოვა ცნობილი კიეველი დილოსტატი ლილია სემბროვა.

ნათია 17 წლისაა. შარშან იგი საქართველოს ჩემპიონი იყო ქალთა შორის. მან დაამთავრა თბილისის 18-ე საშუალო სკოლა და შესასვლელად ემზადება საქართვე-

ლოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჰადრას სპეციალზიანიზე. სხვათა შორის, პინსკში ჰადრას ბდნენ აგრეთვე ოსტატი ქეთევან მელაშვილი და ოსტატობის კანდიდატი სოფიო ნიკოლაძე. მაგრამ მათ მოკრძალებული შედეგებით დაასრულეს შეჯიბრება.

ჩემპიონატის მეორე ნახევარ-ფინალში, რომელსაც ქალაქი ნაოლიკი მასპინძლობდა, თავი ისახელა თბილისელმა მოსწავლემ, 15 წლის ნინო ხურციბეძე. მართალია, იგი ვერ გავიდა ფინალში, სამაგიეროდ, სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ამისთვის საქმართის აღმოჩნდა 14-დან 8 ქულა.

სანაშაპრი სავაზური

ვინც ქალთა მსოფლიო პირველობის გათამაშებას ადევნებს თვალს, იცის, რომ ამჟამად ქალაქ აზოვში მიმდინარეობს ერთ-ერთი საზონათშორისო ტურნირი. პრეტენდენტთა ტურნირის სამი საგზურისთვის იბრძობს 18 მოქარაქე, რომელთა შორის არიან დილოსტატი ქეთევან არახშია და საერთაშორისო ოსტატი ქეთევან ჯახიანი.

ტურნირში უკვე გადალახა თავისი ეკვატორი, მაგრამ ლიდერთა შორის მხოლოდ ქეთევან ჯახიანს ეხედავთ (10 ტურის შემდეგ 6 ქულით იგი მესამე ადგილზე იყო). იგი მტკიცედ, დაუმარცხებლად მიიწევს წინ. ქეთევან არახშიამ კი ზრძოლა მარცხიდან დიფიულო ველარ გამოსაწორა მდგომარეობა.

მეორე საზონათშორისო ტურნირი დაიწყება ივნისის მიწურულს მაღაზიაში, სადაც საპეკროლ გაემგზავრებიან ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდროვა. ამჟამად ისინი ემზადებიან ბორჯომში ამ ტურნირისთვის.

შეგახსენებთ, რომ პრეტენდენტთა ტურნირში საზონათშორისო შეჯიბრებებიდან გამარჯვებულს გარდა მონაწილეობას მიიღებენ ნანა იოსელიანი, ელენა ახმითოვსკაია და დები — იულია და ქუეა პოლავარები. მათი ტურნირი სექტემბერში გაიმართება.

და ბოლოს, ცნობილი გახდა, რომ საზონათშორისო ტურნირში სთაბაშოდ დაუშვებს ქართველი დილოსტატი ნინო გურიელი.

თენგიზ ზომბაძე, საერთაშორისო არბიტრი.

წარმატება ამახ კვირა!
დიდი ინტერესი გამოიწვია „მსოფლიო თასის“ მეორე გათამაშების (1991-1992) შესარჩევი ტურნირების ფინალმა, რომელიც მანისისა და ივნისის გასაყარზე გაიმართა მოსკოვში. თასის 12 საგზურს ეცილებოდა ერთმანეთს 42 დილოსტატი, რომელთაგან თითოეულს თერთმეტი პარტია უნდა ეთამაშა შევიცარიული სისტემით მოწყობილ შეჯიბრებაში. საბჭოთა მოქარაქეებს მხოლოდ ხუთი საგზური გამოუყენა. მაგრამ ამ სიძნელემ ვერ შეაქრობა ოპტიმისტურად განწყობილი თბილისელი დილოსტატი, 30 წლის ზურაბ აზმაიფარაშვილი.
შესაშური შეუპოვრებით მილოტოდა მიხნისკენ ზურაბი. პირველ დღეს სძლია კ. პულაქს. მეორე დღე დაუხვდა პ. ნიკოლიჩს (ორივე — იუგოსლავია), მ. ჩანდლოვს (ინგლისი), ა. სოკოლოვს (სსრ კავშირი). მოგება მოუხდომა კ. გეორგიევს (ბულგარეთი), მაგრამ რისკიანი თამაში წაგებთ მოუბრუნდა. ლიდერებმა არწმუნეს ზურაბის ძალა და სწრაფად დაუხვდნენ ჯ. სპილმენს (ინგლისი), ე. ბარეევს და ბ. გულფანდი (ორივე — სსრ კავშირი). მაგრამ ზურაბმა იცოდა, რომ ყაიმებით მიზანს ვერ მიიღწევდა. საქირთა იყო კიდევ

წინ პერველფინალში...

მაშ ასე, მსოფლიოს მეთოთხმეტე ჩემპიონატზე გამოვლინდა ყველა ის თექვსმეტი ნაკრები, რომლებიც მერვედფინალში ითამაშებენ. აი, ისინი: **იტალია, ჩეხოსლოვაკია, კამერუნი, რუმინეთი, არგენტინა, ბრაზილია, კოსტა-რიკა, გერმანია, უგანდა, კოლუმბია, ესპანეთი, ბელგია, ურუგვაი, ინგლისი, პოლანდია და ირლანდია.** ჩვენი აზრით, ყველაზე დიდ მოულოდნელობად კოსტარიკელთა მეორე ეტაპზე გასვლა იყო, რომლებმაც შოტლანდიისა და შვედის არტულ სუსტი ნაკრებები ჩამოიტოვეს. დანარჩენი ნაკრებები სამართლიანად მოხვდნენ თექვს-

მეტ უძლიერეს შორის. და ერთადერთი, რომელიც იმ დარჩენილ რვა გუნდიდან იმსახურებდა მათ გვერდზე ყოფნას, ალბათ, ეგვიპტის ნაკრები იყო. თუმცა, არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ეგვიპტელებს შეეძლოთ ჯგუფში ძალიან ძლიერი მეტოქეები ჰყავდა ინგლისის, პოლანდიისა და ირლანდიის ნაკრებების სახით. ეგვიპტელებმა შესანიშნავად ჩაატარეს ეს ჩემპიონატი და მხოლოდ ერთი დამარცხება იგემეს ინგლისელებთან შეხვედრაში. ეს ერთადერთი გოლი ეგვიპტის ნაკრების შესანიშნავი მეკარის ახმედ შუბეირის კარში ინგლისელებმა მეტად საინტერესო ცენტრალურმა მცველმა მარკ რაიტმა გაიტანა, რითაც თავის ნაკრებს ჯგუფში პირველი ადგილი და მერვედფინალის საგზური მოუტანა. ამავე ჯგუფში მოსაპარეზე ირლანდიისა და პოლანდიის ნაკრებების შეხვედრა ფრედ — 1:1 დამთავრდა, რის შედეგადაც ორივე გუნდს აბსოლუტურად ერთნაირი მაჩვენებლები გაუხდა და მხოლოდ წილისყრა გაანაწილებს მათ მეორე დამესამე ჩაღვილებზე. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ჩემპიონატის პირვე-

ირლანდიელები ნამდვილად იმსახურებდნენ. ასევე იმსახურებდა მერვედფინალის საგზურს ურუგვას ნაკრები, რომელსაც მხოლოდ გამარჯვება აწყობდა ზელს სამხრეთკორეელთა ნაკრებთან შეხვედრაში. ორი ტიპის განმავლობაში (ისევე როგორც წინა ორ შეხვედრაში) ურუგვაელებს არა ერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ მატჩის მიწურულს, 90-ე (!) წუთზე მოახერხეს კარის აღება. აღსანიშნავია, რომ თავი გამოიჩინა ახალგაზრდა ფორვარდმა დანიელ ფონსეკამ, რომელიც შეცვლაზე გამოვიდა. ამავე მეხუთე ჯგუფში ურუგვაელების გარდა მეორე ეტაპზე კიდევ ორი ნაკრები გავიდა — ესპანეთისა და ბელგიის. მათ შორის გამართულმა შეხვედრამ მეტად საინტერესოდ ჩაიარა. მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვება ესპანელებმა მოიპოვეს (2:1), ჩვენი აზრით ამ მატჩის ლოგიკური შედეგი უფრო ფრედ უნდა ყოფილიყო. ორივე გუნდში მრავალად იყვნენ ფეხბურთელები, რომლებმაც თავი დაგვამხსოვრეს: ესპანელები — სუბისარტა, მიჩელი, მარტინ ვასკესი და სანჩისი; ბელგიელები — შიფო, დე ბრიზი, კულმანსი, ვერვორტი...

ლო ეტაპის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი, სადაც ორივე მეტოქემ სანაბობრივად ლამაზი ფეხბურთი აჩვენა. თავდაპირველად წარმატებას პოლანდიელებმა მიაღწიეს, როდესაც პირველ ტაიმში მათმა კაპიტანმა რუულ გულიტმა თავის სტილში მეტად ეფექტური გოლი გაიტანა პატ ბონიორის კარში. გულიტი, ისევე როგორც რონლდ კუმანი, აშკარად გამოიჩინეს პოლანდიელთა როგებში, რასაც ვერ ვიტყვით მარკო ვან ბასტენზე. მეორე ტაიმში კი ირლანდიელთა სრული უპირატესობით ჩაიარა. როგორც იქნა, ათამაშდა 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი რეი პოუტრინი, ხოლო თავდასხმაში მეტად აქტიურობდა ტანმალონილ ქუინი. ამ უკანასკნელმა შესძლო კიდევაც საპასუხო გოლის გატანა და თავის ნაკრებს გზა გაუხსნა მეორე ეტაპისაკენ, რასაც

ინგლისის ასოციაციის კონფერენციის დელეგატთა საქმრადგობდ

სრულიად საქართველოს ინგლისოდა ასოციაციის პრეს-ცენტრი იუწყება, რომ ა. წ. 30 ივნისს, დილის 11 საათზე, თბილისში, საქართველოს ეროვნული ფორუმის შენობაში (რუსთაველის პრ. 29) მოწვეულია ინგლისოდა ასოციაციის საგანგებო რიგგარეშე კონფერენცია.

კონფერენციის დღის წესრიგშია ასოციაციის სტატუსის განსაზღვრა, ასოციაციის პროგრამისა და წესდებში დამატება-ცვლილებების შეტანა და სხვა საკითხები.

კონფერენციის დელეგატთა წარმომადგენლობითი ნორმა: რეგიონალური ორგანიზაციისაგან — ხუთი, რაიონულისაგან — სამი, პირველადისაგან — ან საინიციატივო ჯგუფისაგან — ერთი წარმომადგენელი.

დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება დილის 10 საათიდან. ცნობებისათვის: ტელ. 93-70-32; 93-74-15.

სალომარია კვირული Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазда Иверელი»	ტელეფონები: მისაღები — 98-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 98-31-56; წერილების ვანყოფინება — 99-00-49.	გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.	რედაქტორი მარაბ გალარჯიშვილი
საქართველოს კ. ც. -ის სტამბა 380098, თბილისი-98, გ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფტერული წებით სავაზეთო კორპუსში, ხოზარაულის № 29 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400	საქართველოს კ. ც. -ის სტამბა 380098, თბილისი-98, გ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400	რედაქციის მისამართი მ. თბილისი — 380008 მ. კოსტავას ქ. № 14.	რედაქციის მისამართი მ. თბილისი — 380008 მ. კოსტავას ქ. № 14.